# თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური დახმარების 2022 წლის პროგრამა

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები:**

1. **პროგრამის სახელწოდება:** თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო
პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური დახმარების პროგრამა.
2. **პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 0** 1 იანვარი 2022 წელი – 31 დეკემბერი 2022 წელი.
3. **პროგრამის ბიუჯეტი: 84 000(ოთხმოცდაოთხი ათასი) ლარი.**
4. **პროგრამის დაფინანსების წყარო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი.
5. **პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა:** თვეში 200 ლარი.
6. **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

**მუხლი 2. პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები:**

დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სამედიცინო დაწესებულებაში გადაადგილების და მედიკამენტებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

**მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:**

პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორიაა თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირები, რომლებიც პროგრამის ამოქმედების დროისათვის რეგისტრირებული არიან თერჯოლის მუნიციპალიტეტში და ამავდროულად სარგებლობენ დიალიზის სახელმწიფო პროგრამით.

**მუხლი 4. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:**

ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ცნობა (ფორმა 100) დიალიზის სახელმწიფო პროგრამით სარგებლობის შესახებ, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან.

გ) განმცხადებლის ანგარიშის ნომერი ბანკიდან.

**მუხლი 5. მომსახურების დაფინანსების ოდენობა და დაფინანსების წესი:**

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერიის ბრძანების პროექტს.
2.მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე გიორგი ზარათაშვილი